საქართველოს პარლამენტი

გენდერული თანასწორობის საბჭო

სამოქმედო გეგმა

2022-2024

სარჩევი

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შესახებ **5**

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ხედვა **5**

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები 2022-2024 წლებისათვის **6**

1. სახელმწიფოს გენდერული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა 7
2. გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება 12
3. საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის სახელმწიფო მექანიზმების დახვეწა, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე 14
4. ცნობიერების ამაღლება გენდერულ თანასწორობაზე 17
5. სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი 19

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შესახებ

საქართველოს პარლამენტში გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობა 2004 წლიდან დაიწყო, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო შეიქმნა.

მოგვიანებით, 2010 წელს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების შემდეგ, გენდერული თანასწორობის საბჭო საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი ორგანო გახდა.

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო შექმნილია პარლამენტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად.

საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით, სხვა ნორმატიული აქტებით, საბჭოს დებულებითა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სხვა აქტებით.

საბჭო ხელს უწყობს საქართველოს პარლამენტს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად გენდერულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრაში, გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნასა და განვითარებაში, შესაბამისი სტრატეგიის განხილვასა და დამტკიცებაში, გენდერული თანასწორობის საკითხებზე პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის კონტროლის განხორციელებაში.

საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება. ამ მიზნით საბჭო თანამშრომლობს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებთან არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან, მუნიციპალიტეტებში არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან და გენდერულ საკითხებში მრჩევლებთან, აგრეთვე მუნიციპალიტეტების საკრებულოების წევრ ქალებთან.

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ხედვა

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო არის სანდო, გამჭვირვალე და კომპეტენტური ორგანო, რომელიც წამყვან როლს ასრულებს სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის დღის წესრიგის ფორმირებაში და გენდერული თანასწორობის კუთხით ქვეყანაში მიღწეული პოზიტიური ცვლილებების სწორ და ეფექტიან კომუნიკაციაში.

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები 2022-2024 წლებისათვის



1. სახელმწიფოს გენდერული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა

მიზანი: გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ჩამოყალიბება და სახელმწიფო კონცეფციის ეფექტიანი განხორციელება

ამოცანა	საქმიანობა	ინდიკატორი	პარტნიორი	ვადა
1. საქართველოს პარლამენტის მიერ გენდერულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისა და ახალი კონცეფციების მიღების მხარდაჭერა	1.1 გენდერული თანასწორობის ახალი სახელმწიფო კონცეფციისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფციის მიღების მხარდაჭერა.	1.1.1 მიღებულია გენდერული თანასწორობის ახალი სახელმწიფო კონცეფცია; 1.1.2 მიღებულია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფცია და შემუშავებულია მისი სამოქმედო გეგმა.	UN Women UNDP	2022
	1.2 პარლამენტის კომიტეტების სამოქმედო გეგმების გენდერული ანალიზი	1.2.1 განხორციელდა პარლამენტის შერჩეული კომიტეტების სამოქმედო გეგმების გენდერული ასპექტების კოორდინაცია გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან	NDI პარლამენტის კომიტეტები	2022-2024
	1.3 საქართველოს პარლამენტის გენდერული მგრძნობელობის შეფასება (Gender Sensitivity Index)	1.3.1 განხორციელებულია საქართველოს პარლამენტის გენდერული მგრძნობელობის შეფასება საბჭოს მიერ დამტკიცებული პარლამენტის გენდერული მგრძნობელობის ინდექსის გამოყენებით, პარლამენტის ყოველ მოწვევაში 2-ჯერ	UNDP	2022-2024
	1.4. კანონმდებლობის გენდერული გავლენის შეფასების (GIA) მეთოდოლოგიის ინსტიტუციონალიზაცია	1.4.1 გენდერული ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგია დანერგილია საქართველოს პარლამენტში; საბჭო კოორდინაციას უწევს კომიტეტების მიერ გაწეულ საქმიანობას ამ მიმართულებით; 1.4.2 ეკონომიკური ბლოკის სამ კომიტეტში ჩატარებულია თითო საკანონმდებლო ინიციატივის GIA, კომიტეტის აპარატის გადამზადებული თანამშრომლების მიერ, საბჭოს მხრიდან მენტორობის უზრუნველყოფით; 1.4.3 საბჭო კოორდინაციას უწევს GIA დოკუმენტით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს; 1.4.4 გენდერული გავლენის ანალიზი გათვალისწინებულია განმარტებითი ბარათის ახალ პროექტში; 1.4.5 პარლამენტის სასწავლო ცენტრის ბაზაზე შემუშავებული გენდერული თანასწორობის შესახებ ტრენინგ პროგრამით, რომელიც მოიცავს GIA-ს კომპონენტს, გადამზადებული არიან კომიტეტების აპარატების მინიმუმ 1 თანამშრომელი.	პარლამენტის კომიტეტების აპარატის უფროსები პარლამენტის სასწავლო ცენტრი UN Women UNFPA NDI UNDP GIZ	2022-2024

	1.5 ლიდერ ქალთა მაღალი დონის საერთაშორისო შეხვედრა რეგიონში ქალთა გაძლიერების საკითხებზე	1.5.1 ჩატარებულია მაღალი დონის შეხვედრა რეგიონის ქვეყნების ლიდერ ქალთა მონაწილეობით; 1.5.2 რეგიონის სახელმწიფოების წარმომადგენელი ქალების მხრიდან მოხდა მათი გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება ქალთა გაძლიერების მიმართულებით.	EU Helpdesk	2022
	1.6 კომიტეტების აპარატების წარმომადგენლების შესაძლებლობების ზრდა გენდერული მეინსტრიმინგის, ქალთა ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერების, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ასევე შრომით ურთიერთობებში გენდერული ასპექტის საკითხებთან დაკავშირებით	1.6.1 შექმნილია და ჩატარებულია ტრენინგები შერჩეული კომიტეტების აპარატის წარმომადგენლებისთვის გენდერული მეინსტრიმინგის, ქალთა ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერების, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ასევე შრომით ურთიერთობებში გენდერული ასპექტისა და უმცირესობების საჭიროებებისა და უფლებრივი მდგომარეობის საკითხების შესახებ პარლამენტის აპარატის სასწავლო ცენტრის ჩართულობით. 1.6.2 შექმნილია და ჩატარებულია ტრენინგები შერჩეული კომიტეტების აპარატის მინიმუმ 1 წარმომადგენლისათვის გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების შესახებ.	EU Helpdesk NDI UNFPA GIZ პარლამენტის სასწავლო ცენტრი	იანვარი -თებერვალი 2023
	1.7 „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს N1325რეზოლუციის საკითხზე მუშაობა	1.7.1 დევნილთა და საოკუპაციო ხაზთან მიმდებარე სოფლებში გაეროს N1325 რეზოლუციის ფარგლებში ჩატარებულია გასვლითი ვიზიტები რეგიონებში ქალთა ადგილობრივ ორგანიზაციებთან შეხვედრების მიზნით, წელიწადში სულ მცირე ორჯერ; 1.7.2 განხორციელებულია დევნილი და საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები ქალების გაძლიერების მიზნით მათ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვის ხელშეწყობა.		ოქტომბერი - ნოემბერი 2023
	1.8. თემატური მოკვლევის ჩატარება ქალებისა და გოგოებისათვის ინფრასტრუქტურის (გზა, ტრანსპორტი, ინტერნეტი, წყალი) ხელმისაწვდომობის შესახებ	1.8.1 საბჭოს ინიციატივით განხორციელებულია თემატური მოკვლევა ქალებისა და გოგოებისათვის ინფრასტრუქტურის (გზა, ტრანსპორტი, ინტერნეტი, წყალი) ხელმისაწვდომობის შესახებ და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები; 1.8.2 თემატური მოკვლევის ანგარიშში გათვალისწინებულია ინფრასტრუქტურის (გზა, ტრანსპორტი, ინტერნეტი, წყალი) ხელმისაწვდომობის საკითხი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვისაც.	NDI UNDP	2022 წლის IV კვარტალი

	1.9. წინა წლებში ჩატარებული თემატური მოკვლევების მონიტორინგის განხორციელება	1.9.1 საბჭოს ინიციატივით განხორციელებულია თემატური მოკვლევის „ქალთა უფლებები არაფორმალურ ეკონომიკაში და Covid 19-ის გავლენა“ მონიტორინგი და შექმნილია ანგარიში შესრულებული რეკომენდაციების პროცენტული რაოდენობის მითითებით NDI-ს მიერ შემუშავებული მონიტორინგის მეთოდოლოგიის მიხედვით; 1.9.2 საბჭოს ინიციატივით განხორციელებულია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბულის კონვენცია) ვალდებულებების კანონმდებლობაში ასახვის და მათი აღსრულების ეფექტიანობის შესახებ“ თემატური მოკვლევის მონიტორინგი და შექმნილია ანგარიში შესრულებული რეკომენდაციების პროცენტული რაოდენობის მითითებით NDI-ს მიერ შემუშავებული მონიტორინგის მეთოდოლოგიის მიხედვით; 1.9.3 საბჭოს ინიციატივით განხორციელებულია თემატური მოკვლევის „გენდერული თანასწორობის საკითხების მეინსტრიმინგი სამთავრობო პოლიტიკაში“ მონიტორინგი და შექმნილია ანგარიში შესრულებული რეკომენდაციების პროცენტული რაოდენობის მითითებით NDI-ს მიერ შემუშავებული მონიტორინგის მეთოდოლოგიის მიხედვით; 1.9.4 საბჭოს ინიციატივით განხორციელებულია 2020 წელს Covid-19-ის პანდემიის მართვის მიმართულებით მთავრობის ადმინისტრაციისთვის გაცემული რეკომენდაციების გადახედვა, შესრულების მონიტორინგი და შექმნილია ანგარიში შესრულებული რეკომენდაციების პროცენტული რაოდენობის მითითებით NDI-ს მიერ შემუშავებული მონიტორინგის მეთოდოლოგიის მიხედვით; 1.9.5 საბჭოს ინიციატივით განხორციელებულია თემატური მოკვლევების “ სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობა” და “პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის” მონიტორინგი და შექმნილია ანგარიში შესრულებული რეკომენდაციების პროცენტული რაოდენობის მითითებით NDI-ს მიერ შემუშავებული მონიტორინგის მეთოდოლოგიის მიხედვით;	NDI UNFPA (ILO-კონვენციის აღსრულების ნაწილში) UN WOMEN PRoLoG	2023 წლის IV კვარტალი - 2024 წლის II კვარტალი

		1.9.6. საბჭოს ინიციატივით განხორციელებულია თემატური მოკვლევის ანგარიშის „შშმ ქალების და გოგოების მისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე“ მონიტორინგი და შექმნილია ანგარიში შესრულებული რეკომენდაციების პროცენტული რაოდენობის მითითებით NDI-ს მიერ შემუშავებული მონიტორინგის მეთოდოლოგიის მიხედვით.		
	1.10 თემატური მოკვლევის ჩატარება „გენდერული თანასწორობის საკითხების მეინსტრიმინგი სამთავრობო პოლიტიკაში“	1.10.1 საბჭოს ინიციატივით განხორციელებულია თემატური მოკვლევა „გენდერული თანასწორობის საკითხების მეინსტრიმინგი სამთავრობო პოლიტიკაში“	UN Women	2022 წლის II კვარტალი
	1.11.თემატური მოკვლევის ჩატარება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებების, მათ შორის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულებების შესახებ	1.11.1. საბჭოს ინიციატივით განხორციელებულია თემატური მოკვლევა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებების, მათ შორის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულებების შესახებ და შექმნილია თემატური მოკვლევის ანგარიში	NDI UNDP UNFPA	2022-2024
	1.12. თემატური მოკვლევის ჩატარება „საქართველოში მცხოვრები უმცირესობების (ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი, სექსუალური, შშმ) ძირითადი გამოწვევები და საჭიროებები“	1.12.1. თემატური მოკვლევის პროცესში უზრუნველყოფილია ნაკლებად წარმოდგენილი თემისაგან შემდგარი საკონსულტაციო საბჭოს ჩართულობა 1.12.2. საბჭოს ინიციატივით განხორციელებულია თემატური მოკვლევა და შექმნილია თემატური მოკვლევის ანგარიში; 1.12.3. თემატური მოკვლევის ფარგლებში საბჭოს წევრებმა განახორციელეს ვიზიტები ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში და ჩაატარეს შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან	NDI UNDP UNFPA SJC	2022 წლის II-III კვარტალი
	1.13. თემატური მოსმენების ჩატარება ანაზღაურების სხვაობის (Pay Gap) მეთოდოლოგიის დამტკიცებისა და განხორციელების შესახებ	1.13.1 ანაზღაურების გამოთვლის მეთოდოლოგიაზე მუშაობა გაგრძელებულია; 1.13.2. საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით შექმნილია ანაზღაურების სხვაობის გამოთვლის საერთაშორისო სტანდარტი; 1.13.3. დამტკიცებული და პილოტირებულია ანაზღაურების სხვაობის გამოთვლის მეთოდოლოგია; 1.13.4 ჩატარებულია თემატური მოსმენები, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა საბჭოს მოქმედების კონკრეტული მიმართულება და საქმიანობის ინსტრუმენტი.	UN Women UNDP საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	2022 წლის I-II კვარტალი

	1.14 გენდერულად მგრძობიარე პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დანაშაულებების გამოძიებისა და ექსპერტიზის განხორციელების კუთხით	1.14.1. საბჭოს რეკომენდაციით დანერგილია ტრენინგები გამომძიებლებისა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წარმომადგენლებისათვის გენდერულად მგრძნობიარე მიდგომების პრაქტიკაში გამოყენების შესახებ	PRoLoG CoE UN WOMEN UNFPA იუსტიციის სასწავლო ცენტრი(TCJ)	2023 წლის I კვარტალი
	1.15 გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, საქმის გენდერულად მგრძნობიარე წარმოების დანერგვის ხელშეწყობა სასამართლო სისტემაში	1.15.1 საბჭოს შუამდგომლობით იუსტიციის უმაღლეს სკოლაში დანერგილია სასწავლო კურსი მოსამართლეებისთვის და სკოლის მსმენელთათვის გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების საქმისწარმოების პროცესში გენდერულად მგრძნობიარე მიდგომების გამოყენების შესახებ	PRoLoG CoE UN WOMEN UNFPA იუსტიციის სასწავლო ცენტრი(TCJ)	2022-2024
	1.16 ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობის შესახებ საკითხის სიღრმისეული მოკვლევა და საჭიროების შემთხვევაში თემატური მოკვლევების ან თემატური მოსმენების ჩატარება	1.16.1. საბჭოს ინიციატივით შესწავლილია ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობის საკითხი და დაგეგმილია შესაბამისი ნაბიჯები	WPRC NDI UN Women („საფარი“ კოორდინაცია)	2022 წლის II- III კვარტალი
	1.17 ოჯახებისადმი კეთილგანწყობილი პოლიტიკის ხელშეწყობა	1.17.1 შექმნილია სამუშაო ჯგუფი ოჯახების მხარდაჭერის გენდერულად მგრნობიარე პოლიტიკის საკითხებზე სამუშაოდ; შემუშავებულია პოლიტიკის რეკომენდაციები და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი; 1.17.2 ჩატარებულია ზეპირი მოსმენები ოჯახების მხარდაჭერის გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის საკითხების მიმართულებით და შემუშავებულია პოლიტიკის რეკომენდაციები და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი.	UNFPA UN WOMEN	2022-2024

2. გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება

მიზანი: საკანონმდებლო დონეზე არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და გენდერული თანასწორობისკენ მიმართული საკანონმდებლო ბაზის დახვეწა

ამოცანა	საქმიანობა	ინდიკატორი	პარტნიორი	ვადა
გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და განვითარების უზრუნველყოფის და მისი საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ჰარმონიზაციის ხელშეწყობა	2.1. საერთაშორისო კონვენციების რატიფიკაციის ხელშეწყობა	2.1.1 დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები ქალთა შრომითი უფლებების დაცვის მიზნით ILO კონვენციის რატიფიკაციის ხელშეწყობისთვის; 2.1.2 ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები ILO-ს დედობის დაცვის N183, საოჯახო ვალდებულებების მქონე დასაქმებულთა შესახებ N156 და N189 კონვენციების რატიფიკაციის ხელშეწყობისათვის.	UN Women UNFPA	2022-2024
	2.2. გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების მომზადება და ინიცირება	2.2.1 „გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები“ კვლევაში რეკომენდებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი მომზადებულია; 2.2.2 საბჭოს ჩატარებული აქვს ცვლილებების მისაღებად საჭირო ადვოკატირების ღონისძიებები; 2.2.3 კანონის გადახედვის პროცესში მხედველობაში მიღებულია ადგილობრივ დონეზე არსებული გენდერული თანასწორობის მექანიზმების საკანონმდებლო დონეზე გაძლიერების საჭიროება; 2.2.4 პარლამენტში ინიცირებულია გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები (მათ შორის, გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად საჭირო მეთოდების და მეინსტრიმინგის გამოყენების შესახებ; გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად საჭირო მეთოდების და მეინსტრიმინგის გამოყენების შესახებ).	UN Women UNFPA UNDP CoE NDI NALA GIZ	2022-2024
	2.3 უწყებებში გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოების პრაქტიკის შესწავლა, რეკომენდაციების გაცემა და თანამშრომლობა საკანონმდებლო ცვლილებებისთვის	2.3.1 საბჭოს შესწავლილი აქვს გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოების პრაქტიკა აღმასრულებელ ხელისუფლებაში; 2.3.2 იდენტიფიცირებულია გამოწვევები სახელმწიფო უწყებებში გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოების მხრივ და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები; 2.3.3 ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში მომზადების ხელშესაწყობად.	EU Helpdesk UN WOMEN GIZ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	მარტი - აპრილი 2023

	2.4. კვლევის ჩატარება ქალებისათვის ფინანსური რესურსების მისაწვდომობის საკითხთან დაკავშირებით	2.4.1. ჩატარებულია კვლევა საქართველოში ქალებისათვის ფინანსური რესურსების მისაწვდომობის საკითხთან დაკავშირებით, გაზიარებულია კარგი პრაქტიკები საერთაშორისო გამოცდილების მაგალითზე და მომზადებულია შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა	EU Helpdesk WPRC	იანვარი - თებერვალი 2022
	2.5 სტამბულის კონვენციის შესახებ თემატური მოკვლევის რეკომენდაციების საფუძველზე საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის ინიცირება კანონმდებლობის სტამბულის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისობაში მოსაყვანად	2.5.1 მომზადებული და ინიცირებულია ცვლილებების პაკეტი კანონმდებლობის სტამბულის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.	UNFPA (მემკვიდრეობის საკითხთთან დაკავშირებით) CoE (სტამბოლის კონვენციის შესახებ თემატური მოკვლევის მონიტორინგთან დაკავშირებით) UN WOMEN	2022-2023
	2.6 2021 წელს მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება	2.6.1. საბჭომ დაასრულა მუშაობა და დააინიცირა მარტოხელა მშობლის სტატუსის გაფართოებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებები; 2.6.2. საბჭომ დაასრულა მუშაობა და დააინიცირა მსხვერპლის სტატუსის, როგორც თავშესაფრის სერვისების მიღების წინაპირობის, საკანონმდებლო ცვლილებები.	NDI UN Women	2022-2023
	2.7 საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის მიერ საბჭოს მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად საკითხების მოკვლევა და, საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება	2.7.1 საბჭოს ინიციატივით მოკვლეულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის137, 138 და 139-ე მუხლებთან დაკავშირებული საკითხი და საჭიროების შემთხვევაში, დაინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები		2022-2024

3. საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის სახელმწიფო მექანიზმების დახვეწა, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე

მიზანი: გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესება; გენდერული თანასწორობის საკითხებზე ხელისუფლების სხვადასხვა შტოში არსებული უწყებების/ინსტიტუტების კოორდინირებული მუშაობა და თანამშრომლობის ხელშეწყობა

ამოცანა	საქმიანობა	ინდიკატორი	პარტნიორი	ვადა
3. საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის სახელმწიფო მექანიზმების დახვეწა, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე	3.1 უწყებების ხელშეწყობა გენდერული სტატისტიკის წარმოების მექანიზმის დახვეწის მიზნით	3.1.1 შერჩეულია ერთი საპილოტე სამინისტრო და მუნიციპალიტეტი მექანიზმის დასანერგად; 3.1.2. შემუშავებულია გენდერული სტატისტიკის წარმოების შიდა სახელმძღვანელო შერჩეულ სამინისტროსა და მუნიციპალიტეტში; 3.1.3 ჩატარებულია ტრენინგები და ვორქშოპები მექანიზმის პრაქტიკაში დანერგვის უზრუნველყოფის მიზნით.	EU Helpdesk NALAG UN WOMEN CoE NDI WECF GIZ	მაისი - ივნისი 2023
	3.2 ადგილობრივი გენდერული თანასწორობის საბჭოების ხელშეწყობა და უწყებათაშორისი კოორდინაციის მდგრადი მექანიზმის ჩამოყალიბება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებს შორის	3.2.1. საბჭო ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის სფეროში სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას; 3.2.2 საკრებულოების გენდერული თანასწორობის საბჭოებთან შეთანხმებით ჩატარებულია მათი საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა პარლამენტში; 3.2.3. საბჭოს მხარდაჭერით ჩატარებულია საკრებულოს ქალ წევრთა ყოველწლიური ფორუმი; 3.2.4. საბჭოს წევრები კოორდინირებულად ახორციელებენ ვიზიტებს ადგილობრივი თვითმმართველობების გენდერულ საბჭოებში მათი გაძლიერებისა და საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით; 3.2.5. საბჭოს ეგიდით ჩატარებულია გასვლითი ტრენინგები მუნიციპალური გენდერული საბჭოების წევრებისათვის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: გენდერული ბიუჯეტირება, სტატისტიკის შეგროვებისა და გენდერული გავლენის ანალიზი, თანასწორობის, მრავალფეროვნების და ჩართულობის პრინციპებზე დაფუძნებული სოციალური და ინფრასტრუქტურული სერვისების დანერგვა ადგილობრივ დონეზე; 3.2.6. წელიწადში ორჯერ ტარდება საკოორდინაციო შეხვედრები 64 მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოების წარმომადგენლების მონაწილეობით;	NDI UN Women UNDP NALAG UNFPA CoE GIZ WECFG ადგილობრივი თვითმმართველობები	2022-2024

		3.2.7. საბჭო ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის ინსტიტუციებს შორის თანამშრომლობისა და საქმიანობის კოორდინაციის შესახებ არსებული ინიციატივის განხორციელებას.		
	3.3 მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა საგრანტო პროგრამების შემუშავებაში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით	3.3.1. საბჭოს ჩართულობით შექმნილია სამუშაო ჯგუფი პროგრამის ტექნიკური დავალების შესამუშავებლად; 3.3.2. ყოველ წელს მინიმუმ 2 მუნიციპალიტეტში, საბჭოს მხარდაჭერით, დაწყებულია შემუშავებული პროგრამის დანერგვისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები რეგიონში მცხოვრები ქალების ეკონომიკური გაძლიერების მიზნით.	GIZ NALAG	2022-2024
	3.4. კომუნიკაციის სტრატეგიის დამტკიცება და განხორციელება	3.4.1 დამტკიცებულია გენდერული საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგია; 3.4.2 დამტკიცებულია კომუნიკაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა; 3.4.3 ყოველწლიურად ხდება სამოქმედო გეგმის გადახედვა და განახლება; 3.4.4 შეფასებულია საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგიის განხორციელება.	NDI UNDP	2022-2024
	3.5 სასწავლო ვიზიტები საბჭოს წარმომადგენლების მონაწილეობით საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობის მიზნით	3.5.1 ჩატარებულია საქართველოს დელეგაციის სასწავლო ვიზიტი ესპანეთში ცნობიერების ამაღლებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით; 3.5.2 ჩატარებულია საქართველოს დელეგაციის სასწავლო ვიზიტი შვედეთში ცნობიერების ამაღლებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.	EU Helpdesk	ივნისი 2022
	3.6 თანამშრომლობის გაღრმავება საკონსულტაციო საბჭოებსა და თემატურ ჯგუფებთან	3.6.1 საკონსულტაციო საბჭოების წევრები ესწრებიან საბჭოს ღონისძიებებს და სხდომებს; 3.6.2 შექმნილია საკონსულტაციო საბჭოების წევრებისგან შემდგარი თემატური ჯგუფები; 3.6.3 თანამშრომლობის პროცესში აქცენტი კეთდება ორმაგად მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე; 3.6.4 საბჭო ყოველკვარტალურად ატარებს საკოორდინაციო შეხვედრებს დონორ ორგანიზაციებთან სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესრულებასთან დაკავშირებით.	NDI	2022-2024

	3.7 ქალი პარლამენტის წევრების შეხვედრები ინტერპარტიულ ფორმატში	3.7.1 ქალი პარლამენტის წევრების ინტერპარტიული შეხვედრები ჩატარებულია კვარტალურად; 3.7.2 შეხვედრებისთვის განსაზღვრულია ცალკეული საკითხები გენდერული თანასწორობის ფარგლებში.	UNDP	2022-2024
	3.8 აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების პარლამენტების გადაწყვეტილების მიმღებ ქალ პრაქტიკოსთა გაერთიანების ჩამოყალიბება (community of practice)	3.8.1 საბჭოს ინიციატივით შექმნილია აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების პარლამენტებში გადაწყვეტილებების მიმღები ქალ პრაქტიკოსთა გაერთიანება გენდერული თანასწორობის ტრენდებისა და კარგი პრაქტიკების გაზიარების მიზნით; 3.8.2 წელიწადში მინიმუმ ერთხელ ჩატარებულია საერთაშორისო დონის შეხვედრები აღნიშნულ ქალ პრაქტიკოსთა გაერთიანების მონაწილეობით.	GIZ	2022-2024
	3.9. საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება გენდერული თანასწორობის მიმართულებით	3.9.1 საბჭოს წევრებს მიღებული აქვთ მონაწილეობა გენდერული თანასწორობის საკითხებზე საერთაშორისო ღონისძიებებში; 3.9.2 საბჭოს თავმჯდომარეს და/ან წევრებს მიღებული აქვთ მონაწილეობა ქალთა გლობალურ სამიტში; 3.9.3 საბჭოს თავმჯდომარეს და/ან წევრებს მიღებული აქვთ მონაწილეობა გაეროს ქალთა სტატუსის კომისიის ყოველწლიურ სესიაში; 3.9.4 საბჭოს წევრებს მიღებული აქვთ მონაწილეობა ევროპარლამენტის FEMM საკომიტეტო მოსმენაში.	საგარეო საქმეთა სამინისტრო	2022-2024
	3.10. პარლამენტისთვის ყოველწლიური ანგარიშის მომზადება და წარდგენა ქვეყანაში არსებული გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე, გენდერული თანასწორობის საკითხებზე საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის თაობაზე	3.10.1 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ვალდებულებების თანახმად, საბჭო საგაზაფხულო სესიის პერიოდში, პარლამენტს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს ქვეყანაში არსებული გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე, გენდერული თანასწორობის საკითხებზე საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის თაობაზე		2022-2024

4. ცნობიერების ამაღლება გენდერულ თანასწორობაზე

მიზანი: გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების და მგრძნობელობის გაზრდა მოსახლეობაში

ამოცანა	საქმიანობა	ინდიკატორი	პარტნიორი	ვადა
4. გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერ ღონისძიებებში მონაწილეობა	4.1 ფრაქციების და პოლიტიკური ჯგუფების აპარატებისთვის გასვლითი სამუშაო შეხვედრებისა და ტრენინგების ჩატარება გენდერული თანასწორობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით	4.1.1 თითოეული საპარლამენტო ფრაქციის და პოლიტიკური ჯგუფის აპარატის მინიმუმ 2 თანამშრომელს მიღებული აქვს მონაწილეობა ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობ ღონისძიებებში და გაზრდილია მათი გენდერული მგრძნობელობა	პარლამენტის სასწავლო ცენტრი NDI GIZ	2022 წლის I კვარტალი
	4.2 პარლამენტის აპარატის გაძლიერების ხელშეწყობის პროცესში გენდერული პერსპექტივის უზრუნველყოფა	4.2.1 ჩატარებულია პარლამენტის აპარატის სამუშაო გარემოს შესწავლა და ანალიზი გენდერულ ჭრილში; 4.2.2 აპარატის თანამშრომელი ქალი მენეჯერების უნარების განვითარებისთვის შემუშავებულია სპეციალური ტრენინგ მოდული და ჩატარებულია შესაბამისი ტრენინგები.	GIZ	2022-2024
	4.3. საინფორმაციო კამპანიების წარმოება ქალთა ეკონომიკური და პოლიტიკური მონაწილეობის, შრომითი უფლებებისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ	4.3.1 საბჭოს წევრებს უწყებათაშორისი თანამშრომლობით მიღებული აქვთ მონაწილეობა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებში, მათ შორის, ქალთა მიმართ ძალადობის 16 დღიან გლობალურ კამპანიასა და სხვა აქტივობებში; 4.3.2 საბჭოს წევრებს გამართული აქვთ აღნიშნულ საკითხებზე (ქალთა ეკონომიკური და პოლიტიკური მონაწილეობა, შრომითი უფლებები და ქალთა მიმართ ძალადობა, მათ შორის სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცესა და სამსახურში) მინიმუმ 5 საჯარო დისკუსია და თემატური შეხვედრა თბილისსა და რეგიონებში; 4.3.3 საბჭოს წევრები შეხვდნენ სპორტსმენ ქალებს სხვადასხვა სპორტის სახეობიდან რეკომენდაციების და მათი საჭიროებების გაცნობის მიზნით; 4.3.4 საბჭოს წევრებმა მონაწილეობა მიიღეს საბჭოს ეგიდით განხორციელებულ კამპანიაში, რომელიც შეეხებოდა გოგოებსა და ქალებში სპორტის პოპულარიზაციას;	UN Women UNFPA	2022-2024

		4.3.5 საბჭოს წევრები შეხვდნენ გარემოს დაცვის სფეროში დასაქმებულ ქალებს მათი საჭიროებების გაცნობის მიზნით; 4.3.6 საბჭოს წევრები შეხვდნენ მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს, მათი საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით.		
	4.4 საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების ან/და სამოქალაქო საზოგადოების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში და ცნობიერების ამაღლების კამპანიებში აქტიური ჩართულობა	4.4.1 საბჭოს წევრებს მიღებული აქვთ მონაწილეობა მინიმუმ 10 ღონისძიებაში და ცნობიერების ამაღლების კამპანაში გენდერული თანასწორობისა და/ან ქალთა უფლებების მიმართულებით	UNFPA (მემკვიდრეობის საკითხთთან დაკავშირებით) CoE (სტამბოლის კონვენციის შესახებ თემატური მოკვლევის მონიტორინგთან დაკავშირებით) UN WOMEN	2022-2024
	4.5. თანამშრომლობის და კოორდინაციის გაძლიერება გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ქსელებთან და ორგანიზაციებთან	4.5.1 დამყარებულია თანამშრომლობა ახალ ქსელებთან და ორგანიზაციებთან (მინიმუმ 3 ორგანიზაცია)	WPRC	2022-2024
	4.6 ევროპულ ქარტიასთან „ქალთა და კაცთა თანაბარი მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ მიერთების ხელშეწყობა	4.6.1 საბჭო ხელს უწყობს ადგილობრივ თვითმმართველობებს მიუერთდნენ ევროპულ ქარტიას „ქალთა და კაცთა თანაბარი მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობაში“, რეგიონში აქტიური ადვოკატირებითა და თემატური შეხვედრების ჩატარებით	NALAG UN Women CoE	2022-2024
	4.7 საბჭოს მიერ მადლობის გამოცხადება გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის	4.7.1 შექმნილია შესაბამისი საკონკურსო კომისია ნომინანტების შეფასებისათვის; 4.7.2 ჩატარებულია მადლობის გამოცხადების ცერემონია.		2022-2024
	4.8. გენდერული თანასწორობის საკითხების შესახებ ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა	4.8.1. შექმნილია ვებგვერდი, რომელიც ერთ პლატფორმაზე აერთიანებს წერილობით, ვიდეო, სტატისტიკურ მასალებსა და სასარგებლო ბმულებს გენდერული თანასწორობის საკითხებზე	UNDP	2022-2024

5. სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი

მიზანი: პარლამენტის გენდერული საბჭოს ინფორმირება სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების პროცესზე.

ამოცანა	საქმიანობა	ინდიკატორი	პარტნიორი	ვადა
5. სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი	5.1. გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ანგარიშების მოსმენა	5.1.1 საბჭოს მოსმენილი აქვს ანგარიში ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ წელიწადში ერთხელ; 5.1.2 საბჭოს მოსმენილი აქვს ანგარიში ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ წელიწადში ერთხელ.	გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია	2022-2024
	5.2. სახელმწიფოს მიერ გენდერული თანასწორობის სფეროში საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე ნაკისრი ვალდებულებების ერთიანი ბაზის შექმნა და მათი შესრულების მონიტორინგი	5.2.1 შემუშავებულია სახელმწიფოს მიერ გენდერული თანასწორობის სფეროში საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე ნაკისრი ვალდებულებების ერთიანი ბაზა, შესრულების შეფასებისთვის მონიტორინგის მეთოდოლოგია და შეფასების გეგმა. 5.2.2. ჩატარდა CEDAW-ს ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების და რეკომენდაციების შესრულების შეფასება 5.2.3 ჩატარდა GREVIO-ს ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების და რეკომენდაციების შესრულების შეფასება 5.2.4 ჩატარდა პეკინის დეკლარაციითა და სამოქმედო პლატფორმით ნაკისრი ვალდებულებების და რეკომენდაციების შესრულების შეფასება.	NDI WPRC UN WOMEN UNDP	2022-2024

	5.3. თანასწორობის თაობის ფორუმის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების მონიტორინგი	5.3.1 შექმნილია თანასწორობის თაობის ფორუმის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების მონიტორინგის ჯგუფი და მათი სამუშაო გეგმა. 5.3.2 ჩატარებულია მონიტორინგის ჯგუფის შეხვედრები წელიწადში ორჯერ ვალდებულებების შესრულების მიმოხილვისა და სამომავლო აქტივობების დაგეგმვის მიზნით;	საბჭო პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში საქართველოში გაეროს მუდმივი წარმომადგენელი გაეროს სააგენტოები სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელი ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში ნორვეგიის სამეფოს საელჩო შვედეთის სამეფოს საელჩო	2022-2024

საკონტაქტო ინფორმაცია
რუსთაველის გამზირი 8. 0114, თბილისი
gender@parliament.ge